

ენიმკის მოამბე III, ტფილისი, 1938

თ. სახოკია

**«ვეფხისტყაოსნის» ფიგურალური სიტყვანი
და გამოთქმანი**

შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» შინაარსის ყველასათვის ხელმისაწვდომად და ყველასათვის გასაგებად ჩვენმა რუსთველოლოგებმა ბევრი რამ გააკეთეს: დადგენილია «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტი, შედგენილია ვრცელი ლექსიკონი და სხვ.

ჩვენც განვიზრახეთ, ჩვენის ძალღონისდა კვალად, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში. შევადგინეთ ლექსიკონი «ვეფხისტყაოსნიდან» ამოკრეფილ ფიგურალურ ანუ სურათ-ხატოვან ცალკეულ სიტყვათა და თქმათა, რომელნიც, თუ ხმარებულ იქნენ თავიანთის პირდაპირის მნიშვნელობით, თანამედროვე მკითხველს აზრსმოკლებულად, უკეთეს შემთხვევაში, გაუგებრად ეჩვენება. ასეთია, მაგ., ხმარება სიტყვისა თავშიშველი, ან ფრაზა: ფუ მიყავ. წვერთა და სხვ.

ასეთის სიტყვების ახსნა-განმარტებას ჩვეულებრივ ლექსიკონებში მკითხველი ამაოდ დაუწყებს ძებნას, მათი განმარტება კი, მათი გადატანითის მნიშვნელობის მიწოდება მკითხველისათვის დიალაც საჭიროა.

ასეთი ლექსიკონი შემდეგში გამოცემულ «ვეფხისტყაოსნის» ლექსიკონებში უნდა შევიდეს, როგორც მათი აუციელებელი, ორგანული და შემავსებელი ნაწილი.

დასასრულ, ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აქ მაღლობა გამოვუცხადო სოლ. იორდანიშვილს, რომელმაც რამდენიმე საცილობელი და სათუო ადგილი განმარტა და ნათელჰყო.

#276#

ამ ლექსიკონში შესულია განმარტება 208 სიტყვისა და თქმისა. შიგ ნამოწმები ადგილები ამოღებულია «ვეფხისტყაოსნისა» 1937 წლის აკადემიური გამოცემიდან. ყოველ ნამოწმებ ადგილის გვერდით მიწერილი ციფრი უჩვენებს «ვეფხისტყაოსნის» ტაეპს, სადაც მოთავსებულია ესა თუ ის ციტატა.

შემოკლებანი:

პრდ. ნიშნავს პირდაპირს, ე. ი. სიტყვისა თუ თქმის პირდაპირს მნიშვნელობას.

გდტ. ნიშნავს გადატანითს, ე. ი. სიტყვისა თუ თქმის გადატანითს, ფიგურალურს, სურათ-ხატოვან ხასიათს.

შეად. ნიშნავს შეადარეს, ე. ი. შეამოწმე ციტირებულ ფრაზასთანაო.

#277#

ალმასი (იგივე ანდამატი) – პრდ. ძვირფასი თვალი, წარმოშობილი წმინდა ნახშირის კრისტალიზებისაგან, მინერალებში ყველაზე ბრწყინვალე, ყველაზე მაგარი და ყველაზე გამჭვირვალეა, მისი გადნობა არცერთს ქიმიურ აგენტს არ შეუძლია; შეუძლია დახაზოს, დაფხაჭნოს ყოველი სხეული და მისი დახაზვა-კი არცერთს შეუძლია. ალმასის გასათლელად მისსავე საკუთარს მტვერსა ხმარობენ. ფუფუნებისა და შესამკობი საგანია მისი ბრწყინისა და იშვიათობისათვის. იპოება ინდოეთსა, ავსტრალიასა, ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში. გდტ. მაგარი, მტკიცე, ურყეველი.

714. მიკვირს თუ, გული ალმასი შავმან წამწამმან ჰდაღა რად!

1342. გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა.

ბარგი – პრდ. სიმძიმე, ტვირთი. გდტ. ტანისამოსი.

1355. ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი.

მეგრულში დარჩენილია სიტყვა ბარგი ორის მნიშვნელობით: ტვირთისა ან სიმძიმისა და ტანისამოსისა, ესეცაა, რომ ტანისამოსის აზრით ბარგსა ხმარობენ უფრო ზუგდიდისა და სამურზაყანოსკენ. სხვაგან სამეგრელოში ამ მნიშვნელობით ბარგს აღარ ხმარობენ ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებშია იგი დავიწყებული.

ბედის მოქცევა – პრდ. ბედის აცილება, ბედისგან შორს დატოვება. გდტ. გაუბედურება, გასაცოდავება.

836. ვის გამორჩილობენ ციერნი, ერთის იოტის წამისად,

ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!

ბინდი – პრდ. სინათლე, რომელიც წინ უძღვის მზის ამოსვლას, ან მოსდევს ჩამავალ მზეს; სუსტი სინათლე ან სუსტი სიბნელე. გდტ. კლება, ცხრომა, ძალის წართმევა, დაუძლურება.

713. მის მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ ადილებს.

1094. ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამაღ ბინდდების.

ბინდით ცისკრამდის – პრდ. საღამოდან დილამდე. გდტ. მთელი ღამე.

1552. ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა.

ბნელი – პრდ. უსინათლობა, გდტ. საეჭვო მდგომარეობა, სავსებით უცოდინარობა, რაც საზოგადოებამ არ იცის, დარდი, მწუხარება, ბოროტება, სიავე.

283. ასმათი სულსა უღებდა, სიტყვითა საკვირველითა:

«თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა».

807. ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა.

ბნელი გული – პრდ. უსინათლო, დამალული გოლი. გატ. უცნობი, დაღონებული, დადარდიანებული, ნაღვლით სავსე.

1002. შევიქეც, ვნახენ მეფენი, მყოფნი გულითა ბნელითა.

ბნელის განათლება (ან გათენება) – პრდ. სიბნელის შეცვლა სინათლით. გდტ. მწუხარების გადაქცევა მხიარულებად, დარდ-ნაღველის განქარვება.

379. მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე.

392. ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა.

ბუკის კვრა – პრდ. სამუსიკო ინსტრუმენტზე დაკვრა. გდტ. აყვირება, გახმიანება რისამე, ქვეყნისთვის შეტყობინება, საიდუმლოს დაუმალაობა; მხიარულება.

46. დალოცეს (თინათინ) და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,

ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა.

ბუკი – სამუსიკო ინსტრუმენტია, რომელსაც მხიარულების დროს უკრავენ; აგრეთვე აყვირებენ განგაშისათვის, რომ ყველას შეატყობინონ ხოლმე მოახლოებული საშიშროება.

ბურთი და მოედანი – პრდ. მრგვალი რამე ბალნისა გინა ტყავისა, სათამაშოდ, და ადგილი, სადაც ამ ბურთით თამაშობენ. გად. ვაჟკაცობის, გინა სხვა რამ სასახელო საქმის გამოსაჩენი ასპარეზი; გამარჯვება; წადილის მიღწევა; სიხარული.

67. მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა ოკუთქმანია.

გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!.

ძველად საქართველოში მობურთაღნი მოედანზე ორად იყოფოდნენ და მოედნის იქით-აქეთ ორივე ბოლო ლელოებად ითვლებოდა. რომელი მხარეც ლელოს გადააცილებდა ბურთს, გამარჯვებულიც ის იყო და იტყოდნენ ხოლმე: ლელო გაიტანაო.

გაბასვრა – პრდ. მჭრელი მახვილით განგმირვა. გდტ. უპატივოდ ქმნა, შერცხვენა, გალანძღვა, გაკიცხვა.

862. «სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა; გაბასრულა»,

1075. მათთა ცოლთა მოიძულვეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად.

#279#

გადრეკა – პრდ. მოხრა, სწორი მდგომარეობის გამრუდება, სიმძიმის ქვეშ ზურგის გაზნეკა. გდტ. გულის მოღობა, დამორჩილება, მეზრძოლთა განმზადება გასაქცევად, ჭირსა და განსაცდელში გულის გატეხა, მოუთმენლობა.

931. ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!

გათავისწინება – პრდ. თავის თავის წინ, პირდაპირ დარჩენა, გდტ. მარტოდ დარჩენა, მარტოობა, მხოლოობა, უგარეშოდ, უსხვაპიროდ დარჩენა, განმარტოება.

171. მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა.

შეად. 363, ხელ-გახსნილი, სევდიანი, საწოლს ვიყავ თავის-წინა.

გათრევა – პრდ. წაქცეულის თავის უკან გაწევა, გაჭირებით ცვლევინება ადგილისა. გდტ. გალანძღვა, შეურაცხყოფა, კიცხვა, აუგის თქმა.

814. აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი გულის-გული.

გარდასვლა – პრდ. სივრცეზე რაზედმე გადაბიჯება, ერთი ადგილიდან მეორეზე ამოყოფინება თავისა. გდტ. დაბერება, ახალგაზრდობიდან სიბერეში გადასვლა, ხანში შესვლა. გარდასრული – დაბერებული, ხანში შესული.

36. «მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,

დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია»,

გასვრა – პრდ. გაჭუჭყიანება, გაბინძურება ტალახის მოცხება, ლაფში ამოვლება. გდტ. შერცხვენა, სახელის გატეხა, გაუპატიურება. სააუგო საქმის ჩადენა, უკაცრაულობა, უნამუსობა.

1403. ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

გველნაკბენი (ვითა გველნაკბენია) – პრდ. თითქოს გველს ეკბინოს. გდტ. უზომოდ გამწარებულივით.

1261. დაჰკრთები ამა ამზავსა, მართ ვითა გველ-ნაკბენია.

გზეთი – პრდ. გზიანი ადგილი. გდტ. ადამიანით დასახლებული, არა-უდაბური, კარგი სამყოფელი.

527. ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოდ ვკლიდენ თუნდა გზეთსა!

გზის შეკვრა – პრდ. გზაზე რამე საბრკომის დადება. წინ გადაღობება. გდტ. თავისუფალი მოქმედების შეუძლებლობა, წინააღმდეგობა, ხელის შეშლა, არგაკეთებინება.

604. გამომაპარნეს ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა.

გოლიათი – პრდ. სახელი ფილისტიმელთა ბუმბერაზისა. გდტ. ბუმბერაზი, მეტად დიდის ტანისა და ღონის კაცი.

1535. მათ სამთავე (ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ) გოლიათთა

მზისა ფერად ღაწვნი ღებნეს.

#280#

გოლიათი ფილისტიმელთა ბუმბერაზი იყო, რომელიც, თანახმად დაბადებისა, ისრაელთა მეფე დავითმა შურდულით მოკლა.

გორის დადგმა – პრდ. გორის ამართვა, გდტ. დიდის ხვავის დაყენება, დაზვავება რისამე, ბლომად თავის მოყრა ერთს ალაგას.

447. კაცი კაცსა შემოვსტყორცე; ცხენ-კაცისა დავდგი გორი.

გულამოხვინჩვით ტირილი – პრდ. სიმწარის განცდის გამო დიაფრაგმის სპაზმური შეჭმუხვნა, რომელსაც მოჰყვება გულმკერდში დაგროვილი ჰაერის პირიდან გამოსვლა. გდტ. დიდი სიმწარე, უზომო გაჭირება.

1140. გულ-ამოხვინჩვით ატირდა მით რამე ხმითა წყნარითა.

გულზე ბინდის დაცემა – არი, ჩამოხნელება გულის არეში. გდტ. დადარდიანება, დანადვლიანება, ჭმუნვა, წუხილი,

362. «მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა.

გულზე დანის დაცემა – პრდ. გულის განგმირვა დანითა. გდტ. თავის მოკვლა.

517. მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.

გულის გული – პრდ. გული გულისა, შუა ადგილი გულისა. გდტ. საყვარელი, ძვირფასი, სანატრელი, სასურველი.

814. აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი, გულის-გული.

გულის დაბმა – პრდ. გულის გაჩერება ერთ სამე ადგილას. გდტ. თვალისა და გონების მოუშორებლობა მშვენიერ სანახაობისაგან. სურვილი განიადაგებით ჭვრეტისა უცხო რამ ადამიანისა ან საგნისათვის.

620. აჯაბთა მქმნელნი მჭვრეტელთა გულსა მუნ დააბმიდიან.

გულის დადება – პრდ. მაღლიდან ქვეშ ჩამოღება გულისა. გდტ. მონდომება, მხნეობა, სურვილი, დამშვიდება.

783. გული დადეგ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!

გულის დაღება – პრდ. გულის ქვევითკენ წაღება, გდტ. გულის დამშვიდება.

1376. ანაზდად გვიცნობს (ნურადინ), გაკრთების, გულსა შეჰლამის დაღებად.

გულის დაჭრა – პრდ. ნაჭრებად გადაქცევა გულისა, ან დაწყლულება გულისამახვილით. გდტ. სიკვდილი, სიცოცხლის მოსპობა.

914. უთხრა: «დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დას ჰრი და».

გულის მოფხანა – პრდ. თითის ფრჩხილებით სხეულზე გულისფიცარის აქავებული ადგილის მოფხანვა. გდტ. სანუგეშო, კარგის რისამე გაგება, გულიდან სადარდებლის მოშორება, ჯავრის ამოყრა ვისიმე, სიამოვნება. გულის მოსაფხანი – სანუგეშო, გულიდან დარდის გადამყრელი, სასიამოვნო.

#281#

421. „მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია.

1111. თუ მოვითაჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად.

გულის ტკენა – პრდ. გულისათვის ტკივილის გრძნობის განცდევინება. გდტ. წყენინება, გაჯავრება, ცუდ გუნებაზე დაყენება.

29. რა ჰგავა თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!

გულის წაღება – პრდ. უგულოდ დატოვება, გულის მითვისება, გდტ. ტანჯვის, დიდი განცდის მიყენება.

33. მან (თინათინმა) მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული.

გულმოკლული – პრდ. გულისათვის სიცოცხლე წართმეული. გდტ. დაჩაგრული, დაღონებული, გამწარებული.

41. საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გუ ლ-იმოკლულად!

გულს დანა მასვია – პრდ. გულში დანა მაქვს ჩარჭობილი, გული დანითა მაქვს განგირული. გდტ. დიდი უბედურება დამატყდა თავს, დიდს მწუხარებას განვიცდი, ვკვდები...

392. მოეწერა: «გიბრძანებსო», ვისი მესვა გულსა დანა.

დამარხვა – იხ. მიწის მიყრა.

დამმარხველი – პრდ. ვინც მიცვალებულს საფლავს გაუთხრის და მიწაში დაჰფლავს. გდტ. გამაპატიოსნებელი, საუკუნოდ დამვალელებელი, უდიდესი სამსახურის გამწევი, ძვირფასი, ფასდაუდებელი მოამაგე.

1000. პკლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა დამმარხველისა,

1326. დაცაგვმარხეო ხელითა ჩვენისა დამმარხველითა.

იხ. მიწის მიყრა.

მიცვალებულის დაკრძალვისათვის ქართველი ხალხის მიერ შემუშავებულ წესებში მთავარი ადგილი უჭირავს მიცვალებულის მიზარებას მიწისათვის, მისს დაფლვას (დამალვას ადამიანის თვალთაგან. იხ. მეგრული ფულუა, რაც უდრის დამალვას), დიდ ცოდვად ითვლებოდა მიცვალებულის დარჩენა დაუმარხავად. ამიტომ დამმარხველი მიცვალებულისა ამ უკანასკნელისათვის დიდ მოკეთედ ითვლებოდა. თვით სიტყვა და მმარხველი საალერსო, სახვეწარ სიტყვად არის გადაქცეული ქართულს ენაში. მეგრელებს ერთი სატრფიალო ლექსი აქვთ, რომელშიაც ვაჟი ქალს ემუდარება: როცა მოვკვდე, დამიტირე, საფლავი გამითხარე და დამმარხეო:

#282#

დობლურა და დომინგარი,	ოდეს მოვკვდე, დამიტირე,
გომინთხორი საფულე,	გამოთხარე მე საფლავი,
სანი სქვამი ხე-კუჩხითი	შენ მშვენიერ ხელ-ფეხითა
დიხა ქომნმოჭაბულე...	მიწა ზედა დამაყარე.

დამხოზა – პრდ. ვისიმე ან რისამე პირვე დაცემა ძირს. გდტ. მოსხოზა, განადგურება, მოკვლა, დაზარალება.

802. «თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოზელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან».

დატირება – პრდ. ჭირისუფლის მიერ მიცვალებულის ტირილი. გდტ. პატრონობა,
ყურისგდება, გულშემატკივრობა, შველა, დახმარება (იხ. დამმარხველი).

802. ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან...

ქართველი ხალხის მიერ მიცვალებულის დასაფლავებისათვის შემუშავებულ წესებში ტირილი, დატირება – მთავარი ნაწილი იყო მთელის დასაფლავების პროცედურისა. მიცვალებულს უეჭველად უნდა ჰყოლოდა დამტკირებელი ან მახლობელი ან კიდევ შორეული ნათესავი, რომელიც მის სიკვდილზე მოვა და სხვებთან ერთად დაიტირებს მიცვალებულს: ცრემლს დაჰღვრის მის ცხედარზე, სინანულს გამოსთქვამს ისი სიკვდილის გამო, ებით მოიხსენიებს მის მოქალაქეობას, ვისაც ასეთი ცრემლი დაეწვეთება, ვისაც დატირება ეღირსება, ბედნიერ მიცვალებულად ითვლება; ხოლო უბედურად დაღუპული ის მიცვალებულია, ვისაც დამტკირებელი არ ეყოლება.

დატკეპნა – პრდ. ფეხით გათელვა, ზედ სიარულით გამაგრება ნიადაგისა. გდტ. მრავალ ადგილების მოვლა, მთა და ბარის მოვლა.

653. გავჭერ, სრულად დავტკეპნენ ქვე მიხდორნი და ზე მთანი.

დაქოლვა (იგივე ჩაქოლვა) – პრდ. ქვების მიყრა. გდტ. საჯაროდ დასჯა (ქვების მიყრით).

1102. თქვა (ფატმან) «დაქოლეთ, მოდით, ვითა, მომადეგით, მომყარნი!»!

აღმოსავლეთში ძველად ბევრგანა ჰონდათ ჩვეულებად ზნეობის კანონების დამრღვევნი საჯაროდ დაესაჯნათ ხოლმე ჩაქოლვით, ქვების დაკრებით. ძველსა და ახალ აღთქმაში ხშირადაა ნახსენები ეს სახე დასჯისა (იხ. მაგ.: გამოსვლათა 19; 13; იოანე 8,7).

საქართველოშიაც იცოდნენ ასეთი სასჯელით დასჯა. გამოიყვანდნენ დამნაშავეს სადმე, იტყოდნენ საჯაროდ მის დანაშაულს, აღიარებდნენ ჩაქოლვის ღირსად და მოუწოდებდნენ ყველას ქვები აეღოთ და დაეკრებნათ. პირველად ესროდნენ ისინი, ვინც მოწმენი იყვნენ ჩასაქვავებლის მიერ ჩადენილ დანაშაულისა.

#283#

მთელი ბექობი გაკეთდებოდა ქვისა, რომლის ქვეშ ცოცხლად დაიფლობოდა კაცი, ამ ბექობს საქოლავი ერქვა. შემდეგ ვინც გამოივლიდა საქოლავთან, ვალდებული იყო თითო ქვა მიემატებინა და ესრეთ დაემტკიცებინა, რომ იზიარებდა საერთო განაჩენს, რომ ისიც. მომხრე იყო დამნაშავეს ჩაქოლვისა.

ერთის ჩაქვავების ამბავი დატრიალებულა ქართლის სოფ. ჩოჩეთში (კავთისხევთან) XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში. ერთ ქალს თავისინათლია შეპყვარებია. აღშფოთებულს სოფელს დაუდგენია ასეთის მძიმე დანაშაულის ჩამდენი ჩაქვავებინა. ეკლესიის ზარის რეკვის ხმაზე ხალხი შეკრებილა ერთს ალაგას, გამოუყვანიათ ქალი, საჯაროდ გამოუცხადებიათ მისი დანაშაული და ხალხისათვის მოუწოდებიათ ჩაქვავებინათ. ყველას უსროლია თითო ქვა ქალისათვის, ასე რომ მთელი ყორე დამდგარა ქვებისა. ეკლესიაზე გამოუცხადებიათ, ვინც გაივლიდა იმ ყორესთან, უეჭველად თითო ქვა მიეგდო. ამ ამბის თავის თვალთ მხილველი და მონაწილეც ყოფილა მაშინ ახალგაზრდა იოსებ ყავრიშვილი, რომლის ნათქვამი გადმოგვცა მისმა შვილმა ნიკოლოზ ყავრიშვილმა.

კახეთში ადამიანის ჩაქვავება სულ უკანასკნელ ხანამდე სცოდნიათ. 1905 წელს შიგ თელავში ჩაუქვავებიათ ერთი ყმაწვილი ქურდობისათვის (გ. ჩხუბიანიშვილის ნაამბობი).

დაყრით დადგომა – პრდ. მთელი სხეული რომ ძირს დაუშვა, ხელები და ყურები დაბლა მიმართო. გდტ. გულის გატეხა, უიმედობა, შეშინება, უღონობა, უძლურება.

752. შეუშინდა, საწყენლისა მოხსენება ვერ შეჰმართა;

დაყრით დგა და იგონებდა არ საქმეთა საომართა.

1028. მოქარავნენი ზღვის პირსა დაყრით დგეს დაყმუნებულნი.

დაძვირება – პრდ. დიდის ფასის დადება რისთვისმე. გდტ. იშვიათად მიცემა ან გამოჩენა რისამე, ძნელად პოვნა.

826: უთხრა: «ხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად დაგვიძვირნა!»

შეად. 948. ვჰგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა.

1083. «მიღმა ვუთხრა, ვა თუ გაწყრეს, შეხედვაცა დამიძვირდეს».

დაწვა – პრდ. ცეცხლის მიერ მოსპობა. გდტ. რაიმე გრძნობის მწვავედ განცდა, ტანჯვა.

1571. «ვითა მე შენთვის დამწვარვარ, აგრე შენ ჩემთვის ჰბნდებოდი».

დედის მუცლით გამოყოლა (რისამე) – გდტ. მემკვიდრეობით დარჩენა, დიდისხნიდანვე შექმნა, დაპატრონება.

1168. დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო.

დედის მუცლითგანვე – პრდ. დედის მუცელში ჩასახვის დროიდან. გდტ. ჩემის არსებობის დასაწყისიდანვე, დიდის ხნიდანვე.

1476. ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი.

დიაცურად – პრდ. დიაცის მსგავსად. გდტ. მხდალურად, მშიშრად, ჯაბნად.

614. ქუსლი ვჰკარ და დავუქცივე, დაიზახეს დიაცურ «ვა!».

დღე – გდტ. ცხოვრება, ყოფა, მდგომარეობა, სიცოცხლის ხანი; ნათელი. ადვილად დასანახავი...

762. «ჩემნი დღენი მასმცა ადგან, რაძი ვითა გაისვენოს!»

957. მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.

დღეკრული – გდტ. უბედური, საცოდავი.

1087. «მაგრა რა ვირგო, დღე-კრულმან, სრულად გავჰყრივარ თმობასა».

დღისით-მზისით – პრდ. როცა დღეა და მზე ანათებს, გდტ. აშკარად, ყველას დასანახავად, ცხადად, გამოჩინებით, ადვილად, დაუბრკოლებლივ.

1224. დღისით მზისით ემეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თქვით.

ენის მოცემა – პრდ. ენის დაპატრონება, უკან დაბრუნება. გად. ხელახლა ალაპარაკება.

1032. «ვუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამომგებარე».

ეშმაკის ძმობა – პრდ. ძმად გახდომა ეშმაკისა. გდტ. შეთვისება ეშმაკის ზნეთა, გაუკეთურება, გაბოროტება,

965. რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია.

ვარდისმკრეფობა – პრდ. ვარდის ყვავილების მოწყვეტა და მოგროვება. გდტ. მხიარულება, სახეზე სიამოვნების დაჩენა, შვება, მოლხენა, უდარდელობა.

621. დაღრეჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდის მკრეფობით.

განმარტება თეიმურაზ ბატონიშვილისა: „მხიარულებასა შინა პირი გაუწითლდება სასიამოვნოდ კაცსა მშვენიერსა, და ვინაიდგან ჩვეულება არის, ვინცა მხიარულებაში მშვენიერი გაწითლდება, მას ეტყვიან – ვარდი მოგიკრეფიათო“.

#285#

ზარის მიერ აღება – შეზარვა, შეშინება.

1360. ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,
გაკვირდა, ზარმან აილო, ათრთოლებს, ვითა ხელობა.

ზენარის გატება – დარღვევა ფიცისა, ფიცს გადასვლა.

846. მან გატება ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?

ზღვათა შესართავი – პრდ. რაც ზღვას უნდა შეემატოს. გდტ. ბევრი.

844. ქალი ატირდა ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა.

თავზე დაყრა – პრდ. თავს ზემოდან გადაზნევა. გდტ. ბევრის მიცემა, უხვად დასაჩუქრება.

1462. გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები,
ფერხთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები,
თავსა აყრიდეს ოქროსა, ხვეტს ჯარი მუნ ნარონები.

ძველად, დიდის ზეიმის დროს, განსაკუთრებით ქორწილში, ზეიმისა თუ ქორწილის მიზეზს, მაგ. ნეფე-დედოფალს, შესაწევრად აძლევდნენ, სხვათა შორის, ფულს, რომელსაც თავზე აყრიდნენ. ეს სიტყვა დღეს დარჩენილია სამეგრელოს საქორწილო ტერმინოლოგიაში. ქორწილის დროს მოტანილ შესაწევარს ჰქვიან: დუდიშ გინაყოთამალი – თავზე გადასაგდები. ქორწილში ერთი მოწესრიგეთაგანი იძახის: მავანმა ამდენი და ამდენი თავზე გადასაგდები (დედოფლის) მოიტანაო. აქედან წარმოებულია თავსაყრელი, ოაც ნიშნავს მრავალს, ბლომას. ძველად, ალბათ, თავზე აყრიდნენ შესაწევარს, მაგრამ ახლა მხოლოდ სიტყვით ამბობენ ამას.

თავის დადება – გდტ. სიკვდილი, თავის განწირვა, სხვის გულისათვის საკუთარი თავის დავიწყება.

1470. «ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება».

თავისი სისხლის მხვრეტი – გდტ. თავის თავის დამღუპველი, თავის სისხლის დამღვრელი, სიკვდილამდე მიმყვანი თავისი თავისა, თავის გაუფრთხილებელი.

1106. მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა.

თავის წაგება – პრდ. დაკარგვა, მოშორება თავისა. გდტ. სიკვდილი, სიცოცხლის შეწყვეტა.

567. მესმა საქმე საშინელი, თუცა თავი ვერ წავაგე.

#286#

თავის წევა – პრდ. მოწვევინება (რისთვისმე) თავისა. გდტ. შველა, დახმარება, გასაჭირისაგან ხსნა.

434. აწვე თავსა არ ეწევი, ფათერაკსა შეგასწრობენ.

თავშიშველი (უქუდო) – პრდ. ქუდით დაუფარავი თავი. გდტ. შერცხვენილი, არამამაკაცი, აუგიანი.

69. იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს,

ნამღვეიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:

«ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს».

355. ახარებდეს: «წამოჯდაო», დედოფალი გამორბოდა;

მეფე მორბის თავშიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა.

ქართველებში ძველად მამაკაცობის, ვაჟკაცობის ემბლემა – ქუდი იყო, ხოლო დედაკაცობისა – ლეჩაქი ანუ მანდილი. მამაკაცისათვის თავშიშველი, უქუდოდ სიარული არ ეგებოდა, როგორც არ ეგებოდა დედაკაცისათვის ულეჩაქობა, ლეჩაქმობდილობა, ერთისა და მეორისათვისაც – ორივე დიდი შერცხვენის ნიშანი იყო.

ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ ამ ოცდაათ-ორმოცი წლის წინათ, როცა რაიმე დანაშაულისათვის (ქურდობა, უნამუსობა, ცოლქმრული ღალატი) სოფელი საჯაროდ სჯიდა მამაკაცს, ქუდს მოხდიდა, როგორც მისი ტარების უღირსს, პირუკუღმა ვირზე შესვამდა, სოფელ-სოფელ ჩამოატარებდა და ყველა თავზე ლაფს ასხამდა, არცხვენდა, ჰნერწყვავდა.

ქართულის თანამედროვე ლაპარაკში ახლახან გადავარდა ხმარება თქმისა, როცა უნდოდან ვისიმე გალანძღვა: ქუდი არა გხურავსო, ე. ი. კაცი არა ხარ, მოკლებული ხარ ყოველგვარ კაცურ ღირსებას, პატიოსნებას, სინიდიხს, ვაჟკაცობასაო, ქმრის მოღალატე ქალზე იტყოდნენ ხოლმე: ქმარს ქუდი: მოხადაო.

თავში ცემა – პრდ. თავში ხელების რტყმა. გდტ. მწუხარება, დარდი, ნაღვლობა.

873. აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტურო და თავში ვიცე,

ტირილის დროს დარდისა და მწუხარების უმეტესად გამოსახატავად ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ – თავში ეცათ ხოლმე ხელები.

თვალთა მილის დადება – პრდ. ცრემლების სადინელის გაკეთება. გდტ. განუწყვეტელი ტირილი, თვალთაგან დაუსრულებელი დენა ცრემლისა.

787. «მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა, ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა.

1459. «აღარა ვტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თვალთა მილსა».

თვალთა შედგმა – პრდ. თვალების მიყენება. გდტ. თვალების მიჩერება.

1239. ვერვის შეუდგმან საჭვრეტად თვალნი, მართ ვითა მზისადა.

#287#

თვალის დაყოფა – პრდ. თვალის დახუჭვა. გდტ. დაბრმავება.

1536. და უყვნა თვალნი ელვამან, მისთა ლაწვთაგან კრომილმან,

1538. ვით მზემან, დაყვნა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა.

თვალის მოკიდება – პრდ. თვალის შეხება, მობმა. გდტ. დანახვა, შესწრება.

1394. «ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან».

თვალის მოწყვეტა (ვისთვისმე ან რისთვისმე) – პრდ. თვალის მოგლეჯა, მოშორება. გდტ. მზერის შეწყვეტა, ყურებას რომ შეაჩერებს.

1573. ქვე დამდგომმან წამავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი.

თხა და მგელი ერთად სძოვდეს – პრდ. თხა და მგელი ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ისე სძოვდნენ ბალახს. გდტ. მშვიდობა, სიყვარული, ურთიერთის გატანა.

1664. შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

თითით ხვეწნა – პრდ. თითის საშუალებით თხოვნა, აჯა, გდტ. დიდის მორიდებით თხოვნა, უზომო თავის დამდაბლება, მორჩილება.

232. ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა;

670. ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა;

მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხეწებოდა.

თითს, და განსაკუთრებით მარჯვენა ხელის სალოკ თითს, როგორც ხელის მთავარს ნაწილს, დიდი როლი ჰქონდა პირველყოფილის ადამიანის არსებობაში. სალოკი თითი იყო მოლაპარაკისათვის რომლისამე საგნის მაჩვენებელი (ლათინური index); სალოკი თითი, როგორც თვით მისი სახელი გვიჩვენებს, იყო მოთხელო საჭმლის ამღები ჭურჭლიდან პირში ჩასაშვებად; როცა მორჩილება, თავისი უძლურება, უმწეობა უნდა გამოეცხადებინა მორეულს მომრევისათვის, სალოკ თითს მოიკაკვავდა; როცა ვინმე ვისმე რასმე ეხვეწებოდა, როცა ცდილობდა მისი გული მოეგო, მისგან შესამენი შეემინა, მარჯვენა ხელს გაიშვერდა ისე, რომ ხელის ზურგი ქვევით ყოფილიყო, ხოლო გული ზევით, სალოკ თითს გარდა ოთხივე თითი ხელის გულზე დაკეცილი ყოფილიყო, თვით სალოკი მთხოვნელისაკენ მიხრილი, თითქო უჩვენებს, ვისგანაც წყალობას მოელის, თავისს სისაწყლეს, სიბეჩავეს, დამდაბლებას და უჩვენებს, თუ ვისკენ უნდა მიჰმართოს თავისი წყალობაო. ასეთი წესი თხოვნისა დარჩენილია სამეგრელო-სვანეთში და უნდა იყოს აგრეთვე ფშავ-ხევსურეთშიც.

თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით, თითით მახვეწარი სახვეწნელ პიროვნებას თითით ცას ანიშნებს და ეუბნება: იმის (ღმერთის, რომელიც ცაზეა) მადლსა, ნუ დაგვაგდებ გაუკითხველადო.

#288#

თმათა გლეჯა – პრდ. თავზე ძალით თმის მოშორება ხელით. გდტ. მეტად გამწარებული, სასოწარკვეთილი ყოფნა, უსაზღვრო მწუხარება.

950. გაიყარნეს ტირილითა პირსა ხოკით, თმათა გლეჯით.

მიცვალებულის ტირილის დროს ჩვენში დიდის მწუხარებისა და გლოვის ნიშნად მამაკაცი თმასა და წვერს იგლეჯდა, ხოლო დედაკაცი – თმას.

იოტა – პრდ. ბერძნული ანბანის ასო. გდტ. ერთი კიკნა ნაწილი რისამე, სულ უმცირესი რამ, თითქმის არაფერი.

836. ვის გამორჩილობენ ციერნი, ერთის იოტის წამისად.

იოტა – სახელია ბერძნულ ანბანის ასო ი-სა; მთელს ანბანში ყველაზე პატარაა, აქედან დაერქვა გადატანითად ყველაზე უმცირეს რასმე ეს სახელი.

კვალწმინდად – პრდ. უკვალოდ, კვალი რომ არ ემჩნეოდეს ისე. გდტ. სრულიად, სავსებით.

98. კვალი ძებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევსა,
აგრე კვალ-წმინდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა.

კვერთხი – პრდ. ჯოხი ანუ ყავარჯენი მეფის სატარებელი, როგორც ემბლემა ხელმწიფობისა, ნიშანი ხელისუფლებისა, უფროსობისა. გდტ. დასაყრდენი, შეძლება, იმედი, ძალა, ბურჯი, ღონე.

1196. მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა,
ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!

კიდეგანია გზა – პრდ. ნაპირას მდებარეა, ჩემგან შორსაა. გდტ. სულ სხვაა, განსხვავებულია, სხვებისას არა ჰგავს.

1193. «არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია».

კიდით-კიდე – პრდ. ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. გდტ. ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე, ყველგან, ერთგან რომელისამე ადგილის დაუტოვებლად.

128. შენ გენუკვი მონახვასა (ტარიელისა), კიდით კიდე მოლახო ცა.

კიდის კიდობა – პრდ. ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში ყოფნა. გდტ. ერთმანეთის დაშორება, ერთიმეორისაგან შორი-შორს ყოფნა.

1488. თვარა მე ჩემდა; იგ მისდა, დია სჯობს კიდის კიდობა.

#289#

კიტრის მოკრეფა ბერად – პრდ. დაბერებული კიტრის მოკრეფა, გდტ. უვარგისის, საზარალო საქმის კეთება, უვიცობა, მიუხვედრელობა.

786. «მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად».

კიტრი კარგი საჭმელია, როცა ქორფაა, როცა შუშა კიტრის სახელი აქვს.
დაბერებული კიტრი უგემურია და სათესლედ თუ-ღა ვარგა.

კლდე – პრდ. ციცაბო ამართული, მოსხლეტილი. გდტ. სიმბოლო გულქვაობისა, უგრძნობლობისა; ხოლო კარგის აზრით: სიმაგრე, სიმტკიცე, გულგაუტეხლობა.

1221. «დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია».

ლახვრის სობა გულში – პრდ. ლახვრის შერჭობა გულში, გდტ. სიმწარე, დარდი, ნაღველი, ტანჯვა, სიკვდილი.

4. ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

1017. ვიცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახვარი სხვა გესობის.

ლომი – პრდ. ყველაზე ღონიერი ოთხფეხი ხორციჭამია, კატის ჯიშისა. გდტ. ღონიერი, გულადი და შემმართებელი.

1442. ზღვათა მეფე მოახსენებს: «ხელმწიფეო, ლომო, ქველო,

მოახლეთა სიცოცხლეო, ვერ მჭვრეტელთა შორით მკვლელიო».

1493. ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი.

მასპინძლობა-კვეთა – პრდ. საჭმელ-სასმელის მირთმევა, ხორცის მოჭრა. გდტ. პატივისცემა.

1497. ასმათს უც ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვეთასა.

ამ სიტყვის ხმარება იმდროიდანაა, ოდეს სუფრაზე დანა ხორცის მოსაჭრელად იშვიათი იყო და ერთი-ლა თუ მოეპოვებოდა მასპინძელს ხორცის მოსაჭრელად და სტუმართათვის შესათავაზებლად.

მახის დაგება (ვისთვისმე) – პრდ. მახის მოწყობა შიგ ვისიმე გასაბმელად. გდტ. ლალატი, ხიფათში ჩაგდება.

439. ვთქვი თუ: «მოვა რამაზ მეფე; ჩემთვის უდგამს თუცა მახე».

#290#

მე ვარ და ჩემი ცხენია – პრდ. მე. და ჩემი ცხენი ვართ. გდტ. ჩემის ცხენის იმედითა ვარ, ის მეყოფა, იმის მეტი არაფერი მინდა.

1055. რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!

მზე – პრდ. ცენტრალური შუქმფენარე მნათობი ჩვენის სამყაროსი. გდტ. სიცოცხლე, ბედნიერება, სინათლე, ჭემმარიტება, სიმართლე, მშვენიერება.

751. ვიტყვი, «მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების».

1118. რა ფატმანისა შევიდა (ავთანდილ) ლომი, მზე, მოყმე წყლიანი;
უბრძანა: «მოგვალ, მან ყმამან დღე ვეღარ ნახოს მზიანი».

მზე – წყაროა სინათლისა და სითბოსი, მზე – მასაზრდოებელია ჩვენს პლანეტაზე ყოველგვარი ორგანული არსისა, უმზეოდ სიცოცხლე ერთს წუთსაც არ არის წარმოსადგენი. პირველყოფილ ადამიანს დიაღაც შეგნებულნი ჰქონდა ეს მნიშვნელობა მზისა. ბუნებასა და გარშემო პირობებთან ბრძოლაში, ჯერ სუსტსა და უძლურს, მთელი იმედი მზეზე ჰქონდა დამყარებული. და სრულიად ბუნებრივია, რომ გონებრივად დაბალ საფეხურზე მდგარ ადამიანს ამ მნათობისათვის თავისივე თვისებები მიეკუთვნებინა, იგი დაესახა არსებად, რომელსაც სჩვევია ყოველი დადებითი და უარყოფითი ხასიათი ადამიანისა: სიყვარული, მოწყალება, წყრომა, მომადლიერება, სიყვარული მორჩილებისა, თაყვანისცემისა. და ჩვენმა პირველყოფილმა წინაპარმა, მზის შიშითა და ძრწოლით გამსჭვალულმა, მზის მოსამადლიერებლად, მის გულის მოსაგებად იგი თაყვანისცემის საგნად გაიხადა, გააღმერთა.

ქართული მეტყველება აუარებელ მასალას იძლევა ჩვენში ერთ დროს მზის თაყვანისცემის არსებობისას. «ვეფხისტყაოსანი» განსაკუთრებით მაჩვენებელია ამისა. ტაეპი იშვიათად გამოერევა, რომ შიგ ქება არ იყოს მზისა, სხვადასხვა ეპითეტებით არ იყოს შემკობილი ეს მნათობი.

სასაუბრო ქართულში ხომ ყოველ ნაბიჯზე გვესმის: ჩემმა მზემ – ჩემს სიცოცხლესა ვფიცავ; მზე დაუბნელდა – მოჰკვდა; დღისით მზისით – ნათლად, ცხადად; დედას შვილზე მზე და მთვარე ამოსდის – მზესა და მთვარესავით ძვირფასია დედისათვის შვილის სიცოცხლე; მეგრული ფიცი: უშულადუ ბჟამ მარდიმე – დაუღალავ (სიარულით) მზის მადლმა; მზია – სახელი ქალისა; მზეთა-მზე – მეტად ლამაზი ქალი. ან კიდევ სასიმღერო ლექსი: მზე-შინაო, მზე-გარეთა, მზე, შინ შემოდიო! მზეჭაბუკი – სახელი ვაჟისა, და ბევრი სხვაც.

მზის მიხდომა – პრდ. მზეს მოშორება, უმზეოდ დარჩენა. გდტ. სიკვდილი.

446. კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა.

მზის ამოსვლა – პრდ. ცისკიდურზე გამოჩენა მზისა. გდტ. გაბედნიერება, სასიხარულო ამბის შემთხვევა, გამარჯვება. იხ. ზემოთ მზე და იქვე განმარტება: „მზე და მთვარე ამოსდის დედას შვილზე“.

#291#

729. ვაზირმან ცნა, გაეგება: «ჩემსა მზეა ამოსრული,
ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სიხარული».

პირველყოფილ ადამიანისათვის საშინელებაა მზის ჩასვლა, მისი ჰორიზონტს უკან დამალვა, ბნელში გახვევა ქვეყნიერებისა, რომლის ნაწილს ის შეადგენს, განსაკუთრებით თუ ეს ზამთარშიცაა, როცა სიბნელესთან სიცივეს უნდა ებრძოდოს ამ ბრძოლისათვის არც ტანისამოსით და აღარც ბინით სრულებით შეუიარაღებელი ადამიანი! დიადაც სასიხარულო, უსაზღვრო ბედნიერების მომნიჭებელი და ცათაფრენის შემყენებელი უნდა ყოფილიყო მისთვის სითბო-სინათლის მომნიჭებელ მნათობის მზის ამოსვლა, ჰორიზონტზე გამოჩენა! ძველად სამეგრელოში პერანგისამარა, ფეხშიშველა ბავშვები სიმღერის ხმაზე ასეთი ლექსით მიჰმართავდნენ და ღომითა და ყველით ახარებდნენ ხოლმე ზამთრის სიცივეში დილით ამომავალ მზეს:

„ჩხანა, მორთია,	„მზეო, ამოდი,
ჩხანა, მორთია...	მზეო, ამოდი...
ღუმ დო ყვალის	ყველსა და ღომს
რჩანქია“...	გაჭმევო“...

მზის დაბნელება – პრდ. მზისათვის სინათლის წართმევა. გდტ. სიმრავლე რისამე, მზეზე გადმოფარებულისა; მოკვლა, სიცოცხლის წართმევა.

283. ასმათი სულსა უღებდა, სიტყვითა საკვირველითა:

«თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა».

მზის მიფარება – პრდ. მზის დამალვა, უმზეოდ დარჩენა. გდტ. გაუბედურება, სიკვდილი.

706. ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს მი ცისა?

მზის ფიცი – პრდ. საფიცრად მზე რომ აქვთ გამხდარი. გდტ. ფიცი, საბუთი სიმართლისა.

66. (მეფემ) ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.

ძველად, მნათობთ-თაყვანისცემის (ასტროლატრიის) ჟამს, მთავარი ღმერთი და, მამასადამე, საფიცარი იყო მზე. აქედანაა დარჩენილი: ჩემმა მზემ, ჩემს მზესა ვფიცავ და სხვ.

მზის ჩასვენება – პრდ. მზის დამალვა ჰორიზონტს უკან, უმზეოდ დარჩენა. გდტ. სიცოცხლის გათავება, სიკვდილი, მოსპობა.

35. მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭკვრეტ ღამესა ჩვენ უმთენაროსა.

პირველყოფილ ადამიანს მზე სიცოცხლის წყაროდ მიაჩნდა, უმზეოდ არსებობა ვერ წარმოედგინა. მაშასადამე, ბუნებრივია, რომ ჰორიზონტს უკან მზის ამოფარებასთან – „ჩასვენებასთან“ – ერთად მისთვის ისპობოდა სიცოცხლე, დედამიწაზე ორგანულ არსთა არსებობა.

მთვარე – პრდ. თანამგზავრი პლანეტა დედამიწისა, რომლის გარშემო იგი ტრიალებს და რომელსაც ღამ-ღამობით ანათებს. გდტ. ლამაზი, მშვენიერი, საყვარელი, საღმერთებელი.

638. «ჩვენ გავგზავნეთ მენავენი, რომელთაც კვლა უვლია, მოგვინახონ იგი მთვარე (ნესტან-დარეჯანი), ვისთვის ჭირი არ გვაკლია».

მთვარე – წყარო სინათლისა, რომელიც ეფრქვევა დედამიწას ღამით და ჰფანტავს სიბნელეს. პირველყოფილმა ადამიანმა მზესავით მთვარეც გააღმერთა და კვირიაკის მეორე დღე, ორშაბათი, ანუ მეგრული თუთაშდლა (რომაელთა Luna dies) მთვარის თაყვანისსაცემლად დანიშნა.

ბუნებრივია, რომ ამ მნათობის სახელით (რომელსაც ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვაობა ქალად და მზის ცოლად სახავს) ჩვენს წინაპარს განესახიერებინა და სალოცავად გაეხადნა ყოველი ძვირფასი ადამიანი, განსაკუთრებით ტრფიალების საგანი – ქალი, ამასვე ვხედავთ რუსთაველის პოემაში, სადაც ასეთის აღტაცებით არის გამოხატული, მთვარის სახით, პოემის უმთავრესი გმირი-ქალი, ნესტან-დარეჯანი.

მთვრალი – პრდ. ვისაც ტვინი ამღვრეული აქვს ღვინით ან სხვა რამ მაგარი სასმელით. გდტ. გონებაარეული რაიმე ვნებათა ღელვით.

926. კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთვრალისა, არ დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.

მინდობა სისხლისა – პრდ. თავსდება სისხლისა, კისრება სისხლისა. გდტ. უზრუნველყოფა სიცოცხლისა, პასუხისგება მშვიდობით გადარჩენისათვის.

1035. «მე მივინდობ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, დაცამწვთების, ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვთების».

მიწა მყოს – პრდ. მიწად ვიქცე, მიწამ მჭამოს. გდტ. მოვკვდე, ცოცხალი ნულარ ვიქნები, თუ...

1476. ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.

მიწის აკვანება – პრდ. აკვნად გადაქცევა მიწისა. გდტ. სიკვდილი, მიწაში დამარხვა, მიწად ქცევა.

161. «რა გვარა ვქმნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგვანე?

შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე!»

307. «მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე».

მიწის მიერ პირის დაყოფა (ვისთვისმე) — პრდ. მიწის მიერ პირის დაღება (მიწის გათხრა) მიცვალებულის მისაზარებლად. გდტ. სიკვდილი.

#293#

416. «შენთა შუქთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ზედა მჭვირსა,

შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა».

მიწის მიყრა – (მიცვალებულისათვის) – პრდ. მიწის მიბნევა, მიწის ქვეშ მოყოლება, დათვლა მიწაში. გდტ. პატივისცემა, სიკეთის ქმნა, მფარველობა.

882. მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაცარენით!

შეად. 1000. ჰკლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა დამმარხველისა.

ქართველი ხალხის მიერ მიცვალებულისათვის შემუშავებულ წესებში დამარხვა და მიწის მიყრა საფლავისათვის – მთავარი ნაწილია დასაფლავების პროცედურისა. მიცვალებული უეჭველად უნდა იქმნეს დამარხული, მიწამიყრილი, რომ მისი გვამი ისე არ დარჩეს მიწის ზედაპირზე, ნადირის შესაჭმელად. მიწის მიყრის პროცესს გამოვხატავთ დღეს, როცა სამარეში ჩაშვებულის კუბოს მიცვალებულისას პეშვით მიწას მივყავით ხოლმე. ეს აშკარადაა გამოხატული ზემოთმოყვანილ მეგრულ სატრფიალო ლექსში, რომელშიაც ვაჟი ქალს ემუდარება:

„რო მე მოვკვდე, დამიტირე,

გამითხარე მე საფლავი,

შენ მშვენიერ ხელ-ფეხითა

მიწა ზედა დამაცარე“.

მკვახე (სიტყვა) – პრდ. უმწიფარი, შემოუსვლელი. გდტ. უმეცრული, უზრდელი, რეგენული.

207. მისნი მკვახედ მოუბარნე მათრახითა შეგვამწიფნა.

291. ქურდნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვახა.

მკლავ-მაგარი – პრდ. მაგარის მკლავის პატრონი. გდტ. ღონიერი, ძლიერი.

446. მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა.

მომდედრება – პრდ. მდედრის ანუ ქალის მსგავსად გახდომა, გდტ. მორბილება, მოლმოზიერება, აჩვილება.

159. «ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდედრე».

მოსალამე – პრდ. დასასველებელი. გდტ. ბევრი, მოსარწყავი.

218. მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი.

ლამე (სველის აზრით) დღეს მეგრულში დარჩენილა და ნიშნავს: არც მეტად სველს და არც მეტად მშრალს. მოტანილ წინადადებაში მოსალამე ნახმარია ბევრის მნიშვნელობით: თვალთაგან იმდენი ცრემლი სდიოდათ, რომ მინდვრებს ეყოფოდათ მოსარწყავადო.

მოღორება – პრდ. ღორს მიმსგავსება. გდტ. მოტყუება, შეცთენა, გაცრუება.

#294#

1992. მოღორებულხართ, დამცთარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა, დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ლამის სძლობასა.

ამ სიტყვას თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტავს: „როდესაც ღორის დაკვლა უნდა, მოვა პატრონი და უყრის ცოტ-ცოტა საჭმელს ან სიმინდს, ან ქერს, ან ესე გვარს რასმე ცოტ-ცოტათი უყრის გზაზე და ისიც მისდევს ჭამით. ამას სახლში შეიტყუებს; და სახლში რომ შეიყვანს, დაუყრის კიდეც, და ჭამას რომ დაუწყებს ღორი, მაშინ პატრონი კარებს მიუხურავს და დაიჭერს ღორსა. მოღორება მოტყუებას ამისათვისა ჰქვიან“. მეგრულად ღორება მოტყუებასა ნიშნავს, ალბათ ეს იყო ქართველთა სიტყვა მოტყუების გამომხატველი.

მტრის დამხოზა – პრდ. პირქვე დაცემა მტრისა. გდტ. დამარცხება, მორევნა, ჯობნა, მოსპობა.

1017. წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, მტერი შენი დაემხოზის.

მძიმე – პრდ. რაც ბევრს იწონის, ძნელი წასაღები, გაჭირვებით შესანძრევი. გდტ. მდიდარი, შეძლებული, ძვირფასი; მოწინებითი; აუჩქარებელი.

60. დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!

მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო.

აქედან მომდინარეობს გამოთქმები: მძიმე სალამი – მოწიწებითი სალამი; მძიმე-მძიმე ლაპარაკი – აუჩქარებლად ლაპარაკი, ცდა სიბრძნის გამოხატვისა; მძიმე შავებში მყოფი – დიდად მგლოვიარე, დიდად, უზომოდ დამწუხრებული.

მხიარული – პრდ. ვინც მოწყენილი, დაღონებული არ არის. გდტ. ფერი ტანისამოსისა, საფერი არა მგლოვიარეთა და ახალგაზრდათა.

829. მერმე ბრძანა (მეფემ): «მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი».

მიცვალებულზე მგლოვიარობის გათავების შემდეგ სამგლოვიარო (შავებს) ტანისამოსს იხდიან და იცვამენ „სამხიარულოს“ – „მხიარულ. ფერს“.

ნადიმის დადება – გდტ. ნადიმის გამართვა, გაწყობა.

1126. კვლა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შვებულნი.

ნათურქალი – პრდ. ადგილი, სადაც თურქი მდგარა, საგანი, რაც თურქებს ჰკუთვნებიათ ერთ დროს. გდტ. ანაოხრები, აკლებული, იავარყოფილი, მოსრვილი, ნაბრძოლები, ნატყვევნი.

55. ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა.

ნათურქალი სამეგრელოში უქვიათ ადგილისათვის, რომელიც აკლებულია, იავარყოფილია თურქების მიერ, სადაც თურქებს გაუვლიათ, დაუზარალებიათ და საერთოდ თავისი კვალი დაუმჩნევიათ, ისევე, როგორც

#295#

კახეთში, ლეკების მოსაზღვრე ადგილებში, იტყვიან ხოლმე ნალეკარს – ლეკების მიერ დარბეულ, აკლებულ ადგილების შესახებ.

ნამუსის შენახვა – პრდ. ნამუსის დაფარვა, დაცვა. გდტ. საიდუმლოს გაუმჟღავნებლობა, საიდუმლოს დაცვა.

1058. «თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა მშობასა».

ნატუსალი – პრდ. დამწვარი, ნატრუსი. გდტ. ყველაფრის დამკარგველი, უარაფროდ დარჩენილი.

1346. უცნობო ქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატუსალისად.

ნაღველი – პრდ. მწარე სითხე მომწვანო-ყვითელის ფერისა, რომელსაც გამოყოფს ღვიძლი და რომელიც ნაწლავებში მოქმედობს, როგორც საჭმლის მონელების აგენტი. გდტ. ბრაზი, გულის მოსვლა, დარდი, ფიქრი, მწუხარება.

1567. არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაღველჭმულია.

ნიშანი სიხარული – პრდ. სახარელ ამბის მანიშნებელი. გდტ. ბედნიერება, ხელის მომართვა.

729. «ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სიხარული».

ოთხ-ახმით – პრდ. ოთხისავე ფეხის ამოღებით, ზევით აწევით. გდტ. ჭენებით, ჩქარა.

178. ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა.

ამ სიტყვაში ნაგულისხმებია ცხენის ოთხისავე ფეხის ჩქარის ტემპით, ერთსა და იმავე დროს მოძრაობა.

ოტას დასხმა (თავზე) – პრდ. მტკრის დაყრა თავზე. გდტ. თავის დამცირება, უღირსება, მორჩილების გამოცხადება, ერთგულება.

611. მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა;

გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა.

თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტავს ამ თქმას: „აზიური ძველი ჩვეულება იყო, თუ მეფენი ლაშქრიდამ, როგორც ფრიდონს შეემთხვა, მობრუნდებოდნენ და თვისსა სატახტოს ქალაქსა მოვიდოდეს, ხალხი გაეგებებოდა და მის ნასიარულევის ადგილიდან მტკერს აიღებდნენ და თავზე გარდაიყრიდნენ. ეს იყო ნიშანი გულითა მხურვალითა ერთგულებისა მათისა. ოთასა ისხემდეს ამას ნიშნავს – თავზე მტკერს გადაიყრიდესო“.

#296#

პასუხის დაყრა – გდტ. პასუხის თქმევიწინება, პასუხის გაცემა, პასუხის მიღება.

1159. ვერა დავჰყარეთ პასუხი ჩვენ საუბრითა ჩვენითა.

პირი – გდტ. პირობა, თანხმობა, პირობის სიმტკიცე, დადგენილება, სიტყვა; მჭრელი მხარე იარაღისა; გარეთა მხარე ქსოვილისა.

69. ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენიდეს.

523. მიბრძანა (ნესტანმა ტარიელს): «მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა

მტკიცისა».

პირის დაპირება – პრდ. პირად გახდომა პირისა. გდტ. პირობის, სიტყვის რისამე მიცემა, დადგენა, გადაწყვეტა რისამე.

136. კვლა შეჰფიცეს (თინათინმა და ავთანდილმა) ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი.

პირის მოშლა (შემლა) – პრდ. პირის წარხოცვა. გდტ. დადებული პირობის გაუქმება.

523. მიბრძანა: «მიკვირს, რად მოხველ მშლელი. პირისა მტკიცისა».

პირის მხმეჭელი – პრდ. ვინც პირს იღმეჭს, ვინც იჭყანება. გდტ. მშიშარა, გაუბედავი, შემდრკალი, შეწუხებული.

799. რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა.

შდრ. 950. ვირემ უჩნდათ ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბლნეჯით.

საბელი ყელისა – პრდ. ყელზე მისაბმელი თოკი (ვისიმე დასაჭერად). გდტ. დასამორჩილებელი, ურჩობაზე ხელის აღების საშუალება.

257. «აწ, დაო (ასმათ), შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,

სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა.

ძველად დამნაშავეს ან მონას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ისე დაჰყავდათ თავის ნებაზე, ან თუ დახრჩობა უნდოდათ, იმავე საბლის წვერის მოჭერით ახრჩობდნენ. საბელი ერთი სახე იყო დასასჯელ, დასამორჩილებელ იარაღისა.

საგოგმანები – პრდ. სახტუნავი, ხელითი-ხელად სატაცებელი ანუ საჩვენებელი, ხელში სათამაშო. გდტ. მშვენიერი, იშვიათი, საუცხოო.

9. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები.

#297#

სადავეთა მიცემა – პრდ. მიშვება აღვირისა, მიკუთვნება აღვირისა. გდტ. თავისუფლების მინიჭება, თავის ნებაზე მიშვება.

995. რა ტარიელ მეფე იცნა, მუნლა დაჰკრთა მათთა ხრმალთა,

ცხენსა მისცნა სადავენი, დააგვეკარგა წინა თვალთა.

სანთელივით დნობა – პრდ. სანთლის მსგავსად სითხედ გადაქცევა. გდტ. გახდომა, დამჟღევება.

838. ამას მოსთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის.

სატანას წაუღიხარ – პრდ. სატანა დაპპატრონებია შენს თავს. გდტ. დაღუპულხარ, სულის წასაწყმენდი საქმე გიქნია.

874. რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?

სატანა, საღმრთო წერილით, უფროსია ეშმაკებისა.

საყელოთა გარდახევა – პრდ. ტანისამოსის საყელოების დაფხრეწა, გდტ. მწუხარება, გლოვა.

868. ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,

საყელონი გარდებინეს, თავი სრულად გაეგლიჯა.

ქართველებში მგლოვიარობის ნიშანი იყო, სხვათა შორის, საკინძის ჩამოგლეჯა, საყელოთა გარდახევა.

საყურად ნატერფალი – პრდ. ყურში გასაყრელად ფეხს ანაყოლი მიწა, გდტ. მონობა, დამცირება, დამორჩილება, სიმდაბლე, უღირსება.

1554. «ხამს, ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ ქვენი ნატერფალი».

თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტავს ამას; „ძველთა შინა დროთა მონათა პატრონი მათნი ყურთა საყურესა გაუყრიდნენ, ანუ ტყვედ მოყვანილთა, რომელნიც ნიშანნი მონებისა იყო“. მაშასადამე, ჩვენ უღირსნი ვართ თქვენი იმდენად, რომ შესაფერი, იქნება საყურეებად ყურში გავიკეთოთ თქვენს ფეხებს მიკრული და მერე ჩამოვარდნილი ტალახიო.

სახმილის დავსება – პრდ. გახურებულის ღუმელის ჩაქრობა, ცეცხლის განელება. გდტ. დარდ-მწუხარების შეწყვეტა, დასრულება.

953. ვერ დაივსებდა სახმილსა (ავთანდილ), იწვის ცეცხლითა ხშირითა.

1269. ფიცხლად დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა.

სახმილის მოღება – პრდ. დიდ ცეცხლში გახვევა. გდტ. დიდი დარდ-მწუხარება, უზომო ნაღველი.

1157. ვჰკადრეთ, თუ: «მზეო, სახმილი გვედების შენგან ალისა».

სიზმარი – გდტ. მოჩვენება, ამო წარმოდგენა.

#298#

381. «მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია!

სიზმრად მგონია, დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია!».

შეად. 1665. გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.

სიკვდილის მიერ დავიწყება (ვისიმე მოკვლისა) – გდტ. სიკვდილს რომ არ მოაგონდება ვისიმე მოკვლა. გდტ. დიდხანს სიცოცხლე, დიდხანს არმოკვდომა.

853. დავეიწყებვარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა!

შდრ. 284. «მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული».

ხალხის ძველებური რწმენით, სიკვდილი არსებაა, რომელიც ჩამოუვლის ხოლმე ადამიანებს და როცა დროა, ჰხოცავს და მიჰყავს სულეთში. მოხდება ვითომც, რომ სიკვდილს ავიწყდება ადამიანის მოკვლა და ადამიანი იმაზე მეტს, ხანს ცოცხლობს, რაც უნდა ეცხოვრნა დედამიწაზე. ამ რწმენის გადმონაშთია გამოთქმები: სიკვდილს დაავიწყდა მავანიო, სიკვდილს მოსძულეზიო. ან როცა უნდათ დალოცონ ვინმე და დღეგრძელობა უნატრონ, ეტყვიან: სიკვდილსაც დაჰვიწყებხარო! ამასვე ეტყვიან კაცს, რომლისათვის რისამე მისაცემის მიცემა ან გასაკეთებელის გაკეთება დაავიწყდებათ ხოლმე.

სიკვდილის ძებნა – პრდ. ცდა სიკვდილის სადმოფობის გაგებისა, სურვილი მისის ნახვისა. გდტ. სურვილი მოკვდომისა, სიცოცხლის დაუფასებლობა, უკრძალველობა სიკვდილისა.

249. კვლა უთხრა: «დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალეზის,

ესეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალეზის».

სინათლის დაყოფა – პრდ. სინათლის დახურვა, დახშობა. გდტ. უსინათლობა, დაბნელება.

1349. დაუყვის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა.

სისხლის ხვრეტა ვისიმე – პრდ. ვისიმე სისხლის დაღვევა. გდტ. მტრობა, შეუბრალებლობა, უგულობა, უღმობელობა, მოკვლა.

712. იტყვის: «ვერ გაძღა სოფელი, ვა, ჩემთა სისხლთა ხვრეტითა».

სოფელი – ქვეყანა, ცხოვრება, ხალხი.

36. «მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ხვალე მოგვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია»,
951. ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.

სოფელი ასე მქნელია – პრდ. სოფელი ასე შვრება, სოფლის წესი ასეთია. გდტ. ცხოვრებაში სიტკბოსთან სიმწარეც არის, ცხოვრების კანონი ასეთია.

36. «მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ხვალე მოგვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია».

#299#

სოფლით გაღმა გაბიჯება – პრდ. ამ ქვეყანას იქით გადასვლა, გდტ. სიკვდილი, გარდაცვალება, სააქაო ცხოვრების დატოვება.

868. მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა.

სულად მოქცევა – პრდ. სულისაკენ მობრუნება. გდტ. მოსულიერება, უგრძნობელისა გრძნობაზე მოყვანა.

326. ყმა დაბნდა, რა სახელისა ხსენებასა მიეწურა,
ქალმან სულად მოაქცია, მკერდსა წყალი მოააკურა;
348. რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა.

სულთა ამოხდენა – პრდ. სულის ამოღება სხეულიდან. გდტ. უზომოდ ტანჯვა, მოკვლა; მოსპობა, წამება.

930. თქვენ, ერთმანერთსა არ მიჰხვდეთ, მე სულნი ამომხადენით!

სულთა გაყრა – პრდ. სულის მოშორება, უსულოდ დარჩენა. გდტ. სიკვდილი.

სულთაგაყრილი – მკვდარი, უსულოდ დარჩენილი; სულთა გაუყრელი – ცოცხალი, სულ-შერჩენილი.

398. «ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ აღსა,

873. უთხრა: «ძმაო, არ გიტყუვე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე».

სულისა და ხორცთა გაყრა – გდტ. დიდი გაჭირვება, სიკვდილი.

274. ვის ძალაქვს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ მოსრულისა,
ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

სულის გაქცევა – პრდ. სულის სწრაფად გამოღრება სხეულისაგან. გდტ. სიკვდილი,
სიცოცხლის მოსპობა.

1340. სულნი გაიქცნეს, მიდრიკა თავი გიშრისა ტალამან.

სულის დაღება – პრდ. სულის ძირს დაშვება. გდტ. დამშვიდება, დაწყნარება; გაჩუმება,
გატრუნვა. სულღებული – გატრუნული.

283. ასმათი სულსა უღებდა (ტარიელს), სიტყვითა საკვირველითა.

814. «მაწყინე და გამარისხე, ვერ დავილე დიდხანს სული».

895. «რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავილო მერმე სული».

სულის დგმა – გდტ. ოდნავ არსებობა, ძლივს ცხოვრება, გაჭირვებით ყოფნა, სიცოცხლე.

410. მიკვირს, სულნი რადღა მიდგან, ვიტყვი მისგან ნაუბარსა.

913. სულთა დგმაცა არა მმართვეს, ასრე გასლვა რად გიკვირდა!

#300#

სულის მიცემა – პრდ. სულის გაბოძება, სულის მიკუთვნება ვისთვისმე. გდტ. ვისთვისმე
თავის მოკვლა, სხვისათვის სიცოცხლეს გამოთხოვება, სხვისათვის თავის გაწირვა.

1469. არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა,

არ გემუქვების სიცოცხლე, არცა მოცემა სულისა.

სულის წაწყმედა – პრდ. სულის დაღუპვა, საიქიოში ჯოჯოხეთში ჩაგდება სულისა. გდტ.
დიდი ბოროტების ჩადენა, ავკაცობა.

959. ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა.

სულმძიმობა – პრდ. არსიმსუბუქე სულისა, მძიმედ გახდომა სულისა. გდტ. ცოდვის,
მძიმე ბოროტების, უსამართლოების ჩადენა, რაიცა სულს წასწყმედს, დაჰლუპავს.

1483. მძულს გაუწყვედლად კუმტობა, და სულ-მძიმობა, დიდობა.

სულწასრული – პრდ. ვისაც სული მოშორებული აქვს, ვინც უსულოდაა დარჩენილი.
გდტ. მოუთმენელი.

1075. ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულ-წასრულად.

სურვილმან და მზემან მისმან – პრდ. მისმა სურვილმან და მზემ იცისო. გდ. ვფიცავ მის
სურვილსა და მის მზეს (სიცოცხლეს).

1143. სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავემალე მისი შუქი,
ჩამოვჰბურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ სუბუქი.

მზემან მისმან ანუ მისმა მზემ უდრის ჩვენს ახლანდელს ფიცს ღმერთმანი-ს
ანუ (ღმერთმან+ი) ღმერთმან იცის, ე. ი. ღმერთია მოწამე იმისა, რომ ეს ასეა, რომ
მართალს ვამბობ. თვითონ შენმა მზემ შემოკლებული თქმაა – შენმა მზემ
(სიცოცხლემ) იცისო.

სუფევიტმცა ხარ – პრდ. მეფობდეთ! გდტ. კარგად ბრძანდებოდეთ, არაფერი გვენოსთ,
იცოცხლეთ.

807. სუფევიტმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა.

ტანი – პრდ. სხეულის ნაწილი მხრებიდან მენჯის ძვლამდე. გდტ. ადამიანი; მოცულობა,
რაოდენობა.

2. ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა.

1369. კიდობანი გახსნეს, პოეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარწი სამნი ყმანი.

პირველ მაგალითში ტანი ადამიანსა ნიშნავს, ე. ი. შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა
ადამიანისაო, მეორეში ნათქვამია – სამი ხელი აბჯარი იპოვესო.

#301#

ტერფით თხემამდე – პრდ. ფეხის ქუსლიდან თავამდე. გდტ. მთელის ტანის სიმაღლეზე,
სულ.

1360. ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა.

ტირილის დაგდება – გდტ. ტირილის მიტოვება, ტირილის შეწყვეტა, უტირობა,

89. არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან (ტარიელმა).

ფიცის გატება – გდტ. დაშლა პირობისა, შეუსრულებლობა მოცემული პირობისა. ფიცის

გამტებელი – დადებული პირობის დამრღვევი.

525. «შენ გასტებე ფიციჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება».

ფრთების დაჭრა (ფრინვლისათვის) – პრდ. ფრინვლისათვის საფრინავ ნაწილის მოშორება

დანით. გდტ. გამარჯვება, საქმეში წარმართვა, ტროფეი.

980. შესტყორცა (ავთანდილმა) და ჩამოაგდო (ორბი), დაეცა და სისხლი
სდინდა,

გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აქმინდა.

თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტება: „მონადირენი ფრინველს (იშვიათს) მოჰკვლენ, ფრთებს დააჭრიან და თავში ქუდზედ ჯილასავით გაიკეთებენ“.

ფუ მიყავ წვერთა – პრდ. წვერზე მომაფურთხე. გდტ. შერცხვენილი ვიყვე.

1101. «ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად,

დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელი-და ვრბოდე მე ველად!»

ფუ უდრის ფუი-ს, ე. ი. ხმაურობას, რომელსაც გამოიღებს ადამიანის ტუჩები გადაფურთხების დროს. ამ შემთხვევაში ფუ გამოსთქვამს იმ აზრს, რომ შენი წვერი, გამომხატველი შენის ნამუსიანობისა, შენის ვაჟკაცობისა ნერწყვის ღირსია, ე. ი. არაფრად ვარგაო. ქართველ კაცისათვის წვერ-ულვაში მამაკაცობის, პატიოსნების ნიშანი იყო. რამე ბაასის დროს ერთი მეორეს, მობაასეს, ეტყვის და თავის ნათქვამის დასამტკიცებლად წვერ-ულვაშზე ხელს მოისვამს: თუ ეს (ჩემი ნათქვამი) მართალი არ გამოდგება, ეს წვერ-ულვაში შემირცხვეს, ზედ დამაფურთხეო.,

ქართული – პრდ. ქართველი ერის სალაპარაკო ენა. გდტ. საერთოდ ლაპარაკი, უბნობა,

14. მაშინდა: ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,

რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,

არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა.

როგორც ჩანს, ჩვენში „ლაპარაკს“ ქართული ერქვა, და ქართველი სხვათა ენას, რომელიც მას არ ესმოდა, აზრის გამოსახატავ, ლაპარაკისათვის გაჩენილ საშუალებად არა თვლიდა. სლავიანებმა, მაგალითად, ყველა დასავლეთ ევროპელს, განსაკუთრებით გერმანელს, როგორც უშუალო მეზობელს, რომელიც რუსულს არ ლაპარაკობდა, ნემეცი (немец წარმოებული სიტყვა немой -საგან) – მუნჯი დაარქვეს. ეს სახელი გერმანელთათვის რუსებს დღესაც უქვიათ.

ქაჯეთის ციხე – პრდ ქაჯების საცხოვრებელ ადგილის ციხე. გდტ. მიუვალი, ადამიანისაგან ხელშეუვალი ადგილი, უძლეველი ხალხის საცხოვრებელი ადგილი.

1388. ქაჯეთს ერთხელ კვლავ ყოფილვარ, ჰნახავთ, თქვენცა გემაგრების, ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების.

ქაჯეთის ციხე – ციხე-სიმაგრე ზღაპრულ არსებათა – ქაჯთა, საცა დამწყვედული იყო «ვეფხისტყაოსნის» გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი და საიდანაც ის გამოიხსნეს ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა,

ქვევითი – პრდ. რაც ქვეით არის, რაც ძირს იმყოფება. გდტ. ფეხით მიმავალი.

568. გამოჩნდეს ორნი ქვევითნი, მე მივეგებე წინარე.

აქ ქვეითი უპირისპირდება ცხენოსანს, ანუ ცხენის ზურგზე მომჯდარს და ისე ცხენის საშუალებით მიმავალს.

ქორი – პრდ. მტაცებელი ფრინველი. გდტ. წამგლეჯი, მტაცებელი; სწრაფი, მარდი.

447. შიგან (ჯარში) ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი.

ღამე – პრდ. იმ დროის განმავლობა, როცა მზე ჩვენის პორიზონტის ქვეშაა; სიბნელე, რომელიც გამეფებულია ამ ხნის განმავლობაში, გდტ. უცოდნელობა, გაურკვეველობა, უბედურება, სიკვდილი.

957. მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.

ღარიბი მარგალიტი – პრდ. უპოვარი, უქონელი მარგალიტი. გდტ. იშვიათი, მსხვილი მარგალიტი.

1372. ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები.

ღვთის მტერი – პრდ. ღვთის მოძულე, ღვთისადმი მტრულად განწყობილი, ღვთის ავის მდომი. გდტ. უკეთური, ბოროტი, ავის მომქმედი.

576. დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან.

#303#

ღიღჩახსნილი – პრდ. პერანგის საკინძე შეუკვრელი. გდტ. მგლოვიარე, დამწუხრებული, დამძარებული.

308. ღიღ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა.

მიცვალებულის ტირილისა და საერთოდ მგლოვიარობის დროს პერანგის ღიღს ჩაიხსნიდნენ და ტიტველ ხორცს გამოაჩენდნენ იმის ნიშნად, რომ არ არიან იმის ღირსნი, რომ ხორცი დაფარული ჰქონდესთ, ცოცხლებში ერივნენ, მხიარულობდნენ.

ღმერთმან მოგვხედნა – პრდ. ღმერთმა ზევიდან ქვევით მოგვაპყრო თვალები. გდტ. ღმერთი შეგვეწია, გვიხსნა გაჭირვებისაგან, საქმე წარგვიმართა.

1371. «ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა»,

ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების – პრდ. ღრუბელიც ვერ მივა. გდტ. ადამიანისათვის მიუსვლელი, მიუწვდომელი ადგილი, მეტად შორი.

250. ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისრულვარ სადა, მი-, სად.

ყელზე წნელის მობმა – პრდ. დაგრეხილი წნელის შემოვლება კისერზე. გდტ. დამორჩილება, თავის მონობის აღიარება; განწირულება, უსახსრობა.

422. ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი.

ძველად მონებს, მორჩილების ნიშნად, ყელზე წნელს აბამდნენ ხოლმე, ასე რომ თქმა – ყელზე წნელის მობმა გადაიქცა მონობის, მორჩილების გამომხატველ თქმად. ამავე შინაარსისაა: ყელის საბელი, აგრეთვე დასახრობ კაცს თოკს რომ მოაბამდნენ ხოლმე კისერზე.

ყელმოტეხით – პრდ. ყელის განზე გადაწევით, თითქო მოტეხილიაო. გდტ. სუსტად, თავისი უძლურების ჩვენებით.

545. «ქმნას მეფემან ყელმოტეხით შემოხვეწა, შემოკდომა».

ყორანთა დასაყვიარად გახდომა – პრდ. ლეშის საჭმელად ყორნები ყორნებს რომ უხმობენ.
გდტ. უპატრონოდ დარჩენა, დაღუპვა.

1308. შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყვიარად.

ყურთა შეჭედვა – პრდ. რკინის დაჭედვა ყურთა შიგნიდან ისე, რომ ჰაერი ვეღარ
შედიოდეს შიგ. გდტ. ყურების დახშობა, ყურების დაცმა, სმენის წართმევა.

758. მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!

#304#

ყურის მიპყრობა – პრდ. ყურის მიშვერა. გდტ. მოსმენა მოლაპარაკის ნათქვამისა.

51. ამა მამისა სწავლასა ქალი (თინათინ) ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა.

როცა კარგად გაგონება გვინდა რისამე, ყურს ახლო მივუშვერთ ხოლმე
მოლაპარაკეს.

შავი – პრდ. ყველაზე ბნელი ფერი და საგნები ამ ფერისა, ჭუჭყიანი, უსუფთაო. გდტ.
უბედური, საშინელი, საზარელი.

763. ვაზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა.

შენი კბილით შენი შვილები დაგაჭამო – პრდ. შენვე შეგაჭამო შენის შვილების ხორცი.
გდტ. დიდი უბედურება შეგამთხვიო, საშინელი სატანჯველი მოგაყენო.

1101. ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად.

1108. თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჭმევს პირითა.

შესუდრვა – მიცვალებულის შეხვევა თეთრ ტილოში.

802. ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტუროს მშობელმან.

ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან.

მიცვალებულის „გაპატოსნების“ (კუთვნილ პატივის მიგების) პროცედურაში ერთი ნაწილი ეჭირა მიცვალებულის დაბანას, თეთრ ქსოვილში რაშიმე – სუდარაში გახვევას და ისე ჩასვენებას კუბოში. დიდ ცოდვად ითვლებოდა უსუდაროდ დასაფლავება შეცვალებულისა, სუდარა მიცვალებულისათვის იხმარება და

ერთგვარი სიმბოლოა სიკვდილისა, წყევლა: შენი სუდარა მენახოს უდრის: შენი თავი მკვდარი მენახოსო.

შორი-შორ ჩავლა – პრდ. შორს მოვლა რომელსამე საგანზე გინა ადგილზე. გდტ. მორიდება, უნახველობა.

1441. «მერმე აგვავსენ მრავლითა უცხოთა ტურფა ძღვეენითა, ვიცი, შორი-შორ არ-ჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ექმენითა».

შუა კედელი – პრდ. ორ რისამე ან ვისსამე შორის მდებარე კედელი. გდტ. გამყოფელი, გამშორებელი, შეერთებულის რისამე გამაცალკევებელი.

542. დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად.

შოთა რუსთაველამდე სიტყვა შუა კედელი, ორის რისამე ერთმანეთისაგან გამაცალკევებელის აზრით ნახმარი, გვხვდება ახალ აღთქმაში (ეფესელთა, 11, 14).

#305#

ჩალად მიჩნევა (რისამე) – გდტ. არაფრად ჩაგდება, გაუფასურება, ყოველისავე ღირსების აცილება.

242. ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია,
1027. ჩალად უჩნს ყოვლი ქვეყანა, მისვე ჩალისა წონითა,
1501. მტერი ყოვლი ჩალად გიჩანს, ვინმცა იყო ვითა კეტი!

ჩემს ქედზე (იყოს) – პრდ. ჩემს კისერზე იყოს. გდტ. პასუხისმგებელი მე ვიყო, ვალი მე მომეთხოვოს, მე დამბრალდეს.

861. მოვკვდე, თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა!

ეს თქმა უდრის: ჩემს კისერზე იყოს. რაიმე მოვალეობა გინა პასუხისმგებლობა წარმოდგენილია როგორც რამ ტვირთი, რომელიც ხარებს უღლის საშუალებით კისერზე, ქედზე აწევს ხოლმე.

ამ შემთხვევაში, თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით, ლაპარაკია მებრძოლის მტრის სიკვდილის შესახებ, რომლის სისხლის დაღვრა (მოკვლა) ცოდვად არ შეირაცხება და ყველას შეუძლია იკისროს, თავის „ქედზე“ აიღოს.

ჩინეთის ქვაზედ დაწერა – პრდ. წერის ნიშნებით გამოხატვა ჩინურ ქვაზედ. გდტ. კეთილზნეობის წესების დახსომება.

854. ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
«ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია».

ბატონიშვილი თეიმურაზ ამ თქმას ასე განმარტავს: „ქვეყანასა ჩინეთისასა არს ჩვეულება ზნეთსწავლულებისა სიტყვებსა ქვებზე დასწერენ და გარეთ მოედანზე ანუ ხალხი საცა ხშირად შეიყრება, იქ დააწყობენ იმ ქვებსა, რომ ყველამ კაცმა წაიკითხონ და კეთილი ზნეობა ახსომდეთ“.

ცათა დატყდომა (თავზე) – პრდ. ცანი რომ დაემხოზიან ვისმე თავზე. გდტ. დიდი უბედურება, სიკვდილი, განადგურება, მოსპობა.

423. ქვეყანა ჩვენი არ აწყდეს, რისხვით არ დაგვტყდეს ცანია.
1172. ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა.

ცეცხლი (უნელებელი) – პრდ. ერთსა და იმავე დროს გაჩენა სითბოსი და სინათლისა, რომელიც მოსდევს ზოგიერთ ნივთიერებათა (ხე, ნახშირი, ნამჯა და სხ.) წვას. გდტ. უბედურება, ტანჯვა უსაზღვრო სამინელება; სიფიცხე, სიმარჯვე, გულსმოდგინება,

#306#

41. ნახის (ავდანილიმა თინათინ), ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
351. სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.

ცეცხლის დავსება – პრდ. ცეცხლის ჩაქრობა, წვის შეწყვეტა. გდტ. დამშვიდება, დაწყნარება, ნუგეშისცემა, დარდის მოშორება, გაჭირვებისაგან ხსნა,

154. ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად;
მერმე ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად.

ცეცხლის მოდება – პრდ. ცეცხლის აღში გახვევა. გდტ. დატანჯვა, ძალიან გაჯავრება, გაანჩხლება, დაღუპვა, მოსპობა.

28. არსით უჩნდეს მიჯნურობა, არა სადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს.
362. სხვამან ვერავინ შემტყო დება ცეცხლისა ცხელისა.

ცეცხლი უშრეტი – გაუქრობელი ცეცხლი. იხ. ცეცხლი.

ცნობის მიხედვით – პრდ. ცნობის გამოცემა. გდტ. უცნობობა, გამოშტერება.

831. უჭვრეტდის; თვალნი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის, მიჰხდის ცნობასა.

ცული ვერ გაჰყრის – გდტ. მაგრადაა შეკრული, შედუღებულია.

1451. ნესტან-დარეჯანს მოეჭდო (ასმათი), რომე ჯერ გაჰყრის ცულები

ცხრა – გდტ. მრავალი, ნაირ-ნაირი.

413. გეგრო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!

1189. უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად.

ველურების თვლა განისაზღვრება ზოგჯერ ოთხით, ზოგჯერ ხუთით, ხუთს იქით – ბევრია. ქართველთა სულ შორეულ წინაპრებს, უნდა ვიფიქროთ, ცხრამდე შეეძლოთ თვლა და თვით ცხრა უკვე ბევრის, მრავალფერის აღმნიშვნელ ცნებად მიაჩნდათ.

ამის სამოწმებელი მაგალითები ქართულ მეტყველებაში აუარებელია.

დავიწყით ზემოთნამოწმებ მაგალითიდან.

«უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად». აქ ცხრა იმ მნიშვნელობით კი არ არის, ვითომც კარის მცველად მხოლოდ ცხრა მოახლე მიეყენებინოს, არამედ ცხრა გამოხატავს ცხრაზე მეტს სიმრავლეს. თანამედროვეთა ლაპარაკში ცხრა ძალიან ხშირად იხმარება, როცა გვინდა გამოვხატოთ ცხრას გადაცილებული სიმრავლე, მრავალფერობა, მაგ.: ცხრამთას იქით ნიშნავს — ძალიან შორს. ანდაზაა: „ღორსა სიმინდი – გინდა ქეჩოზე, გინდა (ხრა-მთას იქითო“; ცხრაწვენა – სამარხო საჭმელი, რომელშიაც შედის სხვადასხვა სახელწოდების მასალა: ხორბალი, ბრინჯი, ქერი, სისირი, სიმინდი და სხვ. (ხარშავენ შობის წინა-დღეს); დიდიხნის, ბევრის რასამე მნახველს და გამოცდილს კაცზე იტყვიან:

#307#

ცხრა საცრის ჰური უკამიანო, ე. ი. ბევრ საცერში გასულა იმის საქმელ ჰურისთვის საჭირო ფქვილიო; ცხრათავი სატკივარი – ბევრნაირი სატკივარი; არმინდამ“ ცხრა ხინკალი შესჭამაო – ე. ი. ბევრი შესჭამაო; მღვდელმა ცხრა სუფრა გამოიარა, შინ მშიერი მივიდაო, ე. ი. უზომოდა სქამა და მაინც შიოდაო; ჭჯუიანმა ბატკან პა ცხრა ძუძუ მოსწოვაო და უგუნურმა – არცერთიო; ცხრა ძმამ ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონათ, გაიყვეს და ცალ-ცალი უღელი შეხვდათ. მერმე თქვეს, სულ არარაობასაო, ისევ. ცალი უღელი ხარი სჯობიაო; ცხრა ძმამ ერთი თხილის გული გაიყო.

ძირი – პრდ. მცენარის ნაწილი, რომლითაც მცენარე მიწასთანაა მიმაგრებული და რითაც მიწიდან საკვები ამოაქვს; რაიმე საგნის ქვედა ნაწილი, რომელიც ნიადაგშია დაფარული. გდტ. დასაწყისი, კავშირი, ჩამომავლობა, წარმოშობა.

1196. მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურვლისა ძვირისა...

ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!

ძოწეულის გაფლასება – პრდ. წითელის, სამხიარულო ფერის ტანისამოსის შეცვლა შავ, შეურაცხ, სამგლოვიარო ფერის ტანისამოსად. გდტ. მხიარულების, ლხენის შეცვლა მწუხარებად, გლოვად, დარდ-ნაღველად.

540. ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გაგვიფლასდენ.

წასვლა გვიანი – პრდ. ვინც წასვლას აგვიანებს. გდტ. ზოზინა, თავიძვრენია, ვერგარდამწყვეტი საქმისა.

798. რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა?!

წალმა ბიჯის წადგმა – პრდ. წინისაკენ ნაბიჯის მოცვლა, გდტ. განძრევა, სიარული.

76. მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

წვერთა ფუ მიყავ – იხ. ფუ მიყავ წვერთა.

წითელი – გად. ოქროს ფული.

741. ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო.

ძველად ოქროს ფულისათვის ერქვათ წითელი, ისევე, როგორც ვერცხლის ფულისათვის, თავის ფერის მიხედვით, ერქვათ თეთრი.

წყალი – პრდ. სითხე გამჟღავნებელ, უგემო, უფერო, ქიმიურად შენაერთია ორ წილ წყალბადისა და ერთ წილ მჟავადისა. გდტ. მოხდენილი, მშვენიერი, საამო, გაჭირებისაგან მხსნელი, შვება-ლხენის მიმნიჭებელი.

#308#

32. იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,

თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

შეად. 104. ხანი გამოხდა, იკითხა (როსტევანმა): «ნეტარ, რასა იქმს ქალიო,

ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?»

1118. რა ფატმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი.

უხსოვარ დროს, ქართველთა სულ პირველ სამოსახლო ადგილში, წყლის ნაკლებობა ყოფილა, იგი მარად სამებარი, მარად ნატვრის საგნად გვექონია გადაქცეული. ამას ამტკიცებს ჩვენს ენაში დარჩენილი ამდენი სიტყვა, წარმოებული წყლისაგან და თვით ის უდიდესი მნიშვნელობა, წყალს რომ ბუნებრივად მიჰნიჭებია. მაგ.: წყალობა, მოწყალება (პირდაპირ: წყლის მიცემა, გაბოდება) – სიკეთის ქმნა, მფარველობა, გულკეთილობა, სვიანობა, ღმობიერება; უწყალო (პირდაპირ: ვისაც წყალი არ ემეტება მისაცემად) – უღმობელი, შეუბრალებელი, გულქვა; პირის წყალი – (პირდ. პირში მდგარი წყალი) – სინიდისი, კეთილშობილება, ნამუსი; წყლიანი სიტყვა – სინიდისიანი, ლამაზი სიტყვა; წყლიანი სახე – ლამაზი, მშვენიერი, საამური სახე; წყლიანი თვალები – ლამაზი თვალები; საწყალი (პირდ.: ვისთვისაც წყალია საჭირო) – შესაცოდარი, უპოვარი, უქონელი; შეწყალება (პირდ. წყლის მიცემა) – გაკითხვა, გაჭირვებისაგან ხსნა, მიცემა საჭიროსი; შემწყალები (პირდ.: წყალი მომეცი) – შემბრალები, მომხედე, მიხსენ გაჭირვებისაგანი პირწყალგასაწყვეტი – წყევლა: უნამუსოდ დასარჩენი; თვალს წყალი დავაღვივინოთ – გავმხიარულდეთ, სასიამოვნო რამე ვნახოთ; წყლიანად მოუბარი – ლამაზად მოლაპარაკე და სხ. და სხ.

ჭრელი – პრდ. სხვადასხვა ფერი, სხვადასხვა დრო. გდტ. დაუნდობელი, მტრად დასასახი, ორპირი; ტყუილი.

1489. რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხოვრა რასაცა ჭრელისა!

ხადილი – პრდ. წვეულება, ნიშნობა. გდტ. მხიარულება, დროს ტარება.

608. «ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა!»

ხელი – პრდ. ადამიანის სხეულის კიდური, რომელიც იწყება მაჯასთან და თავდება თითის ბოლოს. გდტ. უფლება, ძალა; ოსტატობა; იღბლიანობა; ოდენობა, კარის გასაღები და მისახური; წარმოებული: – ლამაზი ხელი – ლამაზი წერის ცოდნა; კარგი ხელი – იღბლიანი ხელი; ხელ-ყოფა – დაწყება რისამე; ხელის დაბანა რაზედმე – განცხადება მონაწილეობის მიუღებლობისა რაშიმე; ერთი ხელი ტანისამოსი – ტანისამოსი, რაც ერთ კაცსა სჭირია; ხელქვეითი – მორჩილი, ბრძანების ამსრულებელი; ხელმწიფე (პრდ. მეტად ძლიერის ხელის პატრონი, ყოვლად ძლიერი) – მეფე, უზენაესი მბრძანებელი და სხ. და სხ.

#309#

1224. გვითხრა მისთა ხელისათა: «წავალ, თანა წამომყევით!»,

წაგვიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით.

ხელის აღპყრობა – პრდ. ხელის მაღლა აწევა. გდტ. დახმარება, შველა, პატრონობა, ხელის მიშველება.

94. მან (ტარიელმა), გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად.

ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აღუპყრობელად.

257. აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,

სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა.

ხელის ხდომა – პრდ. ხელით გაკეთება. გდტ. გამოყენება, გამორჩომა, რგება.

515. «თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდითა!»

902. არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?

ხელის-ხელ საგოგმანები – პრდ. ხელში სათამაშო, ხელიდან ხელში გადასასვლელი, გდტ. საფერებელი, საალერსო, მშვენიერი, სრული, ძვირფასი.

9. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,

ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები.

ხელწმინდად – პრდ. წმინდა ხელით. გდტ. მეტად წმინდად, უნაკლულოდ.

1366. მუნ იდგა რიყე თვალისა, ხელ-წმინდად განათალისა.

ხმალი გვაზია – პრდ. ტანზე ხმალი გვაქვს დაკიდებული, ხმალს ვატარებთ. გდტ. მებრძოლები ვართ, მზადა ვართ საომრად.

440. «აწ შევებნეთ ხატაელთა, ხმალნი ცუდად რას გვაზიან!»

ხმელი – პრდ. მშრალი, უწყლო ან ცოტა წყლიანი. გდტ. მიწა, სამყარო.

117. მონათა ჰკადრეს: «მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით,

მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით».

ხრმლისა ქნევა – პრდ. ხრმლის იქით-აქეთ მოძრაობა, გდტ. ომი, ბრძოლა, ხოცვა ხალხისა, სიმარჯვე ბრძოლაში.

546. ჩემთა მტერთა დავაქადე დასახოცლად ხრმლისა ქნევა.

ხრმლის ღირობა – პრდ. ხრმლის ჩვენება, ქნევა. გდტ. მუქარა, შეშინება.

1402. ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა ღირობა.

#310#

ხრმლის შემორტყმა – პრდ. ხმლის დაკიდება წელზე. გდტ. ღონის, შემმართველობის, გულადობის ნიშანი.

565. სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია?!

ჯავარი – პრდ. ადგილი ხისა, სადაც წვრილი ძარღვები ერთმანეთს დაღვლარქნილად გადაეხლართვის და წარმოადგენს სურათს რასმე. გდტ. სიმშვენიერე, სილამაზე.

104. ხანი გამოხდა, იკითხა (როსტევანმა): «ნეტარ რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?»

ჯაჭვთა მანის აფოლხვება – პრდ. მოჭერილი ჯაჭვის მოშვება. გდტ. გაჭირვების შესუსტება, ტანჯვის დაამება.

392. მოეწერა: «გიბრძანებსო», ვისი მესვა გულსა დანა, ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა.

ჯიქი – პრდ. ერთგვარი ცხოველი ვეფხვის მსგავსი. აგრეთვე ერთი ტომი კავკასიის მთიელთა, ჯიქეთში მცხოვრები, გდტ. ჯიუტი, უღმობელი, შეუპოვარი, კერპი, უწყალო.

19. იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია.

ჯორი – პრდ. ულაცი ვირისა და ჭაკი ცხენის ჩამომავალი, გდტ. ჯიუტი, გაქირი ადამიანი.

15. განაღა თქვას (მოშაირემ) ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი, მაგრა იტყვის: «ჩემი სჯობსო», უცილობლობს ვითა ჯორი.